ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №88

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

23.07.2021 წ.

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"), თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", მაჟორიტარი წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მოწვეული სტუმრები:

1. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 9 ივლისის №12-03211909-03 და 2021 წლის 14 ივლისის №1203211951-03 წერილები) - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
   მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
   განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 13 ივლისის №12-03211941-03) - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
   მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
   განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 14ივლისის №12-03211952-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი. (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 22 ივლისის #12-032120333-03 წერილი).

/მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და სხდომის დღის წესრიგი ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 9 ივლისის №12-03211909-03 და 2021 წლის 14 ივლისის №1203211951-03 წერილები).

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 ივლისის №21.957.1076 და 2021 წლის 13 ივლისის №21.969.1092 განკარგულებებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01211741478-67; №01211734075-67; №01211532824-67; №01211763133-67; №01211692962-67; №16-01211122232-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01211741478-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №16-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.020) ნაწილზე და მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო

მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 23 ივნისის №0121182177 წერილის მიხედვით, საპროექტო არეალზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებულ შენობა-ნაგებობაზე და ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, №01.10.06.014.020 საკადასტრო ერთეულის სამხრეთით, ჰორიზონტალურად გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან კავშირს, მისასვლელ გზას და მისი პარამეტრიდან გამომდინარე, სამომავლო პერსპექტივაში აღნიშნულ მონაკვეთზე არ განიხილება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 30 ივნისის №01211812833 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, უარყოფით პოზიციას აფიქსირებს ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნასთან დაკავშირებით.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის გასწვრივ, მთლიან ზოლზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №16-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.020) ნაწილზე და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01211734075-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მესხიშვილის (ყოფილი ლოტკინის) ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.075.005) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 30 ივნისის №01211812465 წერილის მიხედვით, ვინაიდან, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებულ შენობა-ნაგებობაზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილ მონაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ასევე, ზემოაღნიშული ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს წითელი ხაზების კორექტირება არსებული შენობისა და არსებული ღობის კონტურზე. აღნიშნული კორექტირება ითვალისწინებს არსებული შენობა-ნაგებობის და არსებული ღობის მოქცევას წითელი ხაზების შიგნით.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01211532824-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ნიკო ბურის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.98.073) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 10 ივნისის №01211613700 წერილის მიხედვით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ასევე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით და სამხრეთით ასევე დაკორექტდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გავრცელდეს მხოლოდ დაურეგისტრირებელ სივრცეზე - №81.02.20.852, №81.02.20.075, №81.02.98.073, №81.02.13.564 და NN№1.02.20.272 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის.

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საცხოვრებელი ზონა-1-ით (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 -ით(რზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ნიკო ბურის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.98.073) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 -ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01211763133-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, კოჯორში, სოფელ დიდებაში, კიკეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.02.195) და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებლი ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 7 ივლისის №01211871273 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა.

საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს ინტენსიურად გამწვანებულ სივრცეს, ინტერაქტიული რუკის მიხედვით გავრცელებულია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) იცვლება სატყეო ზონით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოჯორში, სოფელ დიდებაში, კიკეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკაადსტრო კოდი: №81.01.02.195) და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ასევე, საცხოვრებელი ზონა 1-ის

(სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01211692962-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ქუჩა გულიაზე (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.09.005.073) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2-ით (სსზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 23 ივნისის №01211741686 წერილით, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთს ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე, საკადასტრო საზღვრებში და მის მიღმა არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 7 ივლისის №18-0121183414 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გულიას ქუჩაზე (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.005.073) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის კორექტირება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№16-01211122232-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში. ხევმმარის ხევი, IIIა მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.11.12.005.275; №01.11.12.005.274) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 9 ივნისის №0121160919 წერილის მიხედვით, ვინაიდან „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების თანახმად საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სამსახური თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე

განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა.

ზემოაღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად დედაქალაქის ინტერაქტიულ რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, მიმდებარე ტერიტორიის მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა (რზ) იცვლება მომიჯნავედ მდებარე საცხოვრებელი ზონა 2-ით (რზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში. ხევძმარის ხევი IIIა მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.11.12.005.275; № 01.11.12.005.274) და მიმდებარე ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის მოხსნა მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, ქალაქგეგმარებითი განვითარების თვალსაზრისით, №01211741478-67 - განცხადებით წარმოდგენილი - ,ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №16-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.020) ნაწილზე და მიმდებარედ მოთხოვნილი სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა კომისიის მიერ მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01211734075-67; №01211532824-67; №01211763133-67; №01211692962-67; №16-01211122232-67- **განცხადებასთან (სულ: 5 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1.**უარი ეთქვას** №01211741478-67 განცხადებით,ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №16-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.020) ნაწილზე და მიმდებარედ მოთხოვნილ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილებას და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნას.

2.**რეკომენდაცია გაეწიოს** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 9 ივლისის №12-03211909-03 და 2021 წლის 14 ივლისის №1203211951-03 წერილებით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება) - №01211741478-67; №01211734075-67; №01211532824-67; №01211763133-67; №01211692962-67; №16-01211122232-67

- განცხადება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **უარი ეთქვას** №01211741478-67 განცხადებით,ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №16-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.020) ნაწილზე და მიმდებარედ მოთხოვნილ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილებას და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნას.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 9 ივლისის №12-03211909-03 და 2021 წლის 14 ივლისის №1203211951-03 წერილებით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება) - №01211734075-67; №01211532824-67; №01211763133-67; №01211692962-67; №16-01211122232-67 - განცხადება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 13 ივლისის №12-03211941-03) წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 2021 წლის 12 ივლისის №21.968.1078 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01211863893-67 განცხადება).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01211863893-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.06.006.134, №01.14.06.006.140, №01.14.06.006.137, №01.14.06.006.144, №01.14.06.006.139, №01.14.06.006.145, №01.14.06.006.136, №01.14.06.006.138, №01.14.06.006.141, №01.14.06.006.142, №01.14.06.006.143, №01.14.06.006.135) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №141 განკარგულება ადგენს ფუნქციური ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01211863893-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.06.006.134, №01.14.06.006.140, №01.14.06.006.137, №01.14.06.006.144, №01.14.06.006.139, №01.14.06.006.145, №01.14.06.006.136, №01.14.06.006.138, №01.14.06.006.141, №01.14.06.006.142, №01.14.06.006.143, №01.14.06.006.135) **განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალამის 2021 წლის 13 ივლისის №12-03211941-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება -

№01211863893-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 13 ივლისის **№12-03211941-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01211863893-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 14ივლისის №12-03211952-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ო.ჩიტიძემ

მომხსენებლის (ო.ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 ივლისის №21.960.1074 განკარგულებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა" (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში" (დანართი №1.11).

კერძოდ, დიდი დიღმის III-IV მ/რ-ის სამხრეთ ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით ,,A" არეალში.

ამავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დანართი №1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ „A" არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.

გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში არსებული მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში უკვე განვითარებულია, ხოლო დარჩენილი მიწის ნაკვეთების დამოუკიდებლად განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაშვებია. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორია მოიხსნება დიდი დიღმის III-IV მ/რ-ის სამხრეთ ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებითი ,,A" არეალის რუკიდან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის წლის 14 ივლისის **№12-03211952-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა" (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში'' (დანართი №1.11) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის წლის 14 ივლისის **№12-03211952-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და „თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში” (დანართი №1.11) შესატანი ცვლილების) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი -“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 22 ივლისის #12-032120333-03 წერილი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ.თალაკვაძემ

მომხსენებლის მიერ (გ.თალაკვაძე) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, **იზრდება:**

შემოსავლების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი - 42 450 100 ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 9 ივლისის №04-03/87474 წერილის საფუძველზე, განახლებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით დღგ-ს საპროგნოზო მოცულობის ზრდა);

სხვა შემოსავლების ნაწილში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 6 000 000 ლარით;

სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან) – 10 000 ლარით;

არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 1 000 000 ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლების ზრდის პარალელურად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 9 ივლისის №04-03/87474 წერილის საფუძველზე, **მცირდება:**

გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 25 000 000 ლარით (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №632 განკარგულებით, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით) და განისაზღვრება 5 000 000 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით **ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 34 450 100** ლარით და **შეადგენს** 1 226 976 900 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ შესაბამის პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე. კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

1. **გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01)** – დაფინანსება იზრდება 865 000 ლარით;
2. **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02)** – დაფინანსება იზრდება 3 000 000 ლარით;
3. **ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02)** - დაფინანსება მცირდება 1 052 300 ლარით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:-"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ.კალაძის 2021 წლის 22 ივლისის #12-032120333-03 წერილი).

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 22 ივლისის **№12-032120333-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი